ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა N:50

ქ. მცხეთა 09 სექტემბერი, 2018 წელი

ერთი მხრივ, **ა(ა)იპ მცხეთის კულტურის ცენტრი „სვეტი“,** შემდგომში „შემსყიდველი“ წარმოდგენილი დირექტორის გიორგი მერებაშვილის სახით და მეორე მხრივ, **ი/მ „ქრისტო ხეთაგაშვილი“** შემდგომში „მიმწოდებელი“ ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 „სამგზავრო სატრანსპორტო საშუალებების დაქირავება მძღოლთან ერთად“ (CPV60100000).

1.2 ტრანსპორტით უზრუნველყოფა, მიმართულება: მცხეთა-სტეფანწმინდა-მცხეთა.

2. მომსახურების/საქონლის ვადა და ღირებულება

2.1 მომსახურებუის გაწევის ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2018 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით.

2.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულებაა 280 (ორას ოთხმოცი) ლარი.

3. ანგარიშსწორება

3.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიმსწორებით.

3.2 ანგარიშწორება მოხდეს მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუმეტეს 10 დღეში.

4. მხარეთა უფლება – მოვალეობები

4.1 ,,მიმწოდებელი'' კისრულობს ვალდებულებას;

4.2 საქონლის მიწოდება მოხდეს ხელშეკრულებით ნაკისრ ვადებში.

4.3 ,,შემსყიდველი'' კისრულობს ვალდებულებას:

4.4 უზრუნველყოს თანხის ჩარიცხვა ხელშეკრულებით ნაკისრ ვადებში.

5. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

5.1 თუ ,,მომწოდებელი'' არ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს, ,,შემსყიდველი'' წერილობითი ფორმით აფრთხილებს დაიცვას ხელშეკრულების პირობები.

5.2 ვალდებულების კვლავ შეუსრულებლობის შემთხვევაში ,,შემსყიდველს'' უფლება აქვს განიხილოს ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის საკითხი.

5.3 შესყიდვის არაჯეროვნად ან არშესრულების და ვადაგადაცილების შემთხვევაში ,,შემსყიდველი'' უფლებამოსილია ,,მომწოდებელს'' არ აუნაზღაუროს საქონლის ღირებულება და დააკისროს პირგასამტეხლო მისაწოდებელი საქონლის ღირებულების 0,5%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

7. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

7.1 ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ფასები და უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. ფორს – მაჟორი

8.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შესრულებაზე, თუ ეს შესრულება გამოწვეულია ისეთი გარემოებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალოდ ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.

9. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

9.1 წამოჭრილი დავები ან აზრთა სხადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

9.2 თუ „მიმწოდებელი" და „შემსყიდველი" მოლაპარაკების დაწყებიდან 10 დღის განმავლობაში ვერ შესძლებენ მოლაპარაკების საფუძველზე გადაწყვიტონ დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10. სხვა პირობები

10.1 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

10.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის თანხმობის გარეშე.

10.3 ხელშეკრულება დგება ქართულ ენაზე. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

11 ხელშეკრულების პირობების კონტროლი

11.1 ხელშეკრულების პირობების კონტროლს და მიღება-ჩაბარებაზე ხელის მოწერას განახორციელებს ა(ა)იპ მცხეთის კულტურის ცენტრი „სვეტი"-ს სახელოვნობო განყოფილების უფროსი მამუკა მახარაშვილი.

12 ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა ხელმოწერის დღიდან 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

13. მხარეთა რეკვიზიტები

ი/მ „ქრისტო ხეთაგაშვილი"	**ა(ა)იპ მცხეთის კულტურის ცენტრი „სვეტი"**
პ/ნ 59002002496	**ს/კ:** 436254795
ა/ნ GE76LB0112174151753000	**ა/ნ:** GE24NB0330100200165022
სს „ლიბერთი ბანკი"	**ბანკი:** სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი: LBRTGE22	**ბანკის კოდი:** TRESGE22
მის: ქ.მცხეთა	**მის:** ქ.მცხეთა, სამხედროს ქ. N 9
ტელ: 599 671-247	**ტელ:** 568 259-955
ი/მ:	**დირექტორი:**
ქრისტო ხეთაგაშვილი	**გიორგი მერებაშვილი**

ქ.მცხეთა 07.09.2018 წ.

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტისარარსებობის შესახებ

ვადასტურებ, რომ ა(ა)იპ მცხეთის კულტურის ცენტრის „სვეტი“-ს მიერ 2018 წლის 07 სექტემბერს ი/მ „ქრისტო ხეთაგაშვილთან“ გაფორმებული N50 ხელშეკრულებით განხორციელებულ სახელმწიფო შესყიდვაში ჩემი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს და ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფები.

ა(ა)იპმცხეთისკულტურისცენტრის „სვეტი“-ს
დირექტორი გიორგი მერებაშვილი

მიღება–ჩაბარების

აქტი

08 სექტემბერი, 2018 წელი

მიმწოდებელი	შემსყიდველი
ი/მ „ქრისტო ხეთაგაშვილი“	ა(ა)იპ მცხეთის კულტურის ცენტრი „სვეტი“

საფუძველი: 07 სექტემბერი, 2018წ. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება N:50

ჩვენ, ერთის მხრივ, ა(ა)იპ მცხეთის კულტურის ცენტრი „სვეტი“-ს სახელოვნობო განყოფილების უფროსი მამუკა მახარაშვილი ხოლო მეორეს ი/მ „ქრისტო ხეთაგაშვილი“ ვადგენთ მიღება-ჩაბარების აქტს მასზედ, რომ ერთის მხრივ, , ა(ა)იპ მცხეთის კულტურის ცენტრი „სვეტი“-ს სახელოვნობო განყოფილების უფროსმა მამუკა მახარაშვილმა მიიღო, ხოლო მეორეს მხრივ ი/მ „ქრისტო ხეთაგაშვილმა“ ჩაბარა 2018 წლის 07 სექტემბერს გაფორმებული N:50 ხელშეკრულების საფუძველზე: ასევე ვადასტურებთ, რომ ჩემი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს და ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფები.

მიწოდებული საქონლის/მომსახურების სახე	სულსაქონლის/მომსახურება
„სამგზავრო სატრანსპორტო საშუალებების დაქირავება მძღოლთან ერთად“ მიმართულება: მცხეთა-სტეფანწმინდა-მცხეთა.	280 (ორას ოთხმოცი) ლარი.
სულ:	280 (ორას ოთხმოცი) ლარი.

ა(ა)იპ მცხეთის კულტურის ცენტრი „სვეტი“-ს სახელოვნობო განყოფილების უფროსი მამუკა მახარაშვილი_____

ი/მ „ქრისტო ხეთაგაშვილი“_____